პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 287 (18829) ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲒᲛᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲒᲛᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲒᲛᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲒᲛᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ

უკანასკნელი

ფაქტები, მოვლენები, კომენტარები, საინფორმაციო იუწყება

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

თეთრი წყაროს რაიონის პარტიული ორგანიზაცია თავის მუშაობაში წაღმა შემობრუნების ახალ ეტაპად 1980 წელს მიიჩნევს. სწორედ მაშინ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაღგენილებები, რომლებიც რაიონის სოფლის მეურნეობას ეხებოდა. მაშინ განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება ორგპიროს საბჭოთა მეურნეობაში ჯეროვანი დისციპლინის დამყარებისათვის — ყველას კარგად ახსოვს, რა მკაცრად იმსჯელეს სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევის გამო. ამ ფაქტმა თავისთავად სხვებიც გამოაფხიზლა და ერთოჭ სერიოზულად გააფრთხილა კიდეც — მერე საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვების ყაირათიანი ხარჯვის პრობლემას მიხედეს, ხოლო მესამე დადგენილების შედეგად რაიონში ინერგება სამთო მექანიზაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს სამივე დადგენილება გიინსენეს ადრესატებმა — თეთრწყაროელმა კომუნისტებმა რაიონის პარტიული ორგანიზაციის XXXIV კონფერენციაზე. გიინსენეს, რომ მათ დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, სადაც თეთრწყაროელთა მისამართით გაისმა მკაცრი, მაგრამ ობიექტური კრიტიკა. ეს მოხდა მეათე ხუთწლედში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში, საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკაში, პარტიული მუშაობის სტილში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

მერე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. შევარდნაძე შეხვდა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივს. თეთრწყაროელებმა მაშინ მართებული კრიტიკასთან ერთად საქმიანი დარიგებაც მიიღეს.

ბევრი რამ კარგი გააკეთეს თეთრწყაროელმა მშრომელებმა ამ განვლილი სამი წლის მანძილზე. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ, თუ 1980 წელს რაიონში სულ 7 მილიონ 652 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია შეიქმნა, 1983 წელს ამგვარი შემოსავალი ერთიორად გაიზარდა. წლეულს თეთრწყაროელები 15 მილიონ 447 ათასი მანეთის ნაწარმს დაამზადებენ.

განვლილ სამ წელიწადში ბევრად გაიზარდა სამრეწველო საქონელბრუნვა, თავი ისახელეს

შემოგრუნების სამი წელიწადი

სოფლის მეურნეობაში მართვის სრულყოფის მიზნით ჩამოყალიბდა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, შეიქმნა დამხმარე საწარმოთა, საკვებწარმოებისა და მეთევზეობის სამეურნეოებათაშორისო გაერთიანებები.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება 14 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ერთი კაცდღის ანაზღაურება — 9 პროცენტით.

პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოდის მეფრინველეობის ფაბრიკამ, მეფრინველეობის სანაშენე ქარხანამ, მანგლისის, ალგეთისა და სხვა მეურნეობებმა.

ჩანართი პირველი: მერე, როცა მოსსენების შემდეგ გაიმართა კამათი, გამოსულმა კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა, კონფერენციის დელეგატმა ნ. ნადირაძემ გულისტკივილით თქვა: — მართალია, ჩვენმა კოლექტივმა გულმოდგინე შრომით ჩამორჩენა დაძლია და დღეს მოწინავეთა შორის გვიხსენიებენ, მაგრამ უფრო მეტის გაკეთებაც ხომ შეგვიძლია? ვუხაზავდებურებთ მშენებლებს იმიტომ, რომ მათი „წყალობით“ სრული სიმძლავრით ვერ ვმუშაობთ. კარგად არ ვმარაგდებით კომბინირებული საკვებით და ამიხ გამო დღეში 3-4 ტონა ხორცი გვეკარგება.

ბარემ ჰქვე ისიც ვთქვათ, რომ ხაინტერესო ხატყვა წარმოთქვა ირაგის ხაბჭოთა მეურნეობის გამოცდილმა თავკაცმა ნ. კუდაკოვმა. სხვათა შორის, მანაც მტკიცნეულად დააყენა კომბინირებული ხაკვებით მომარაგების ხაკითხი.

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივნის ჯ. ბედუაძის საანგარიშო მოხსენებაში მაინც კრიტიკა სჭარბობდა. მან თქვა: საანგარიშო პერიოდისათვის სოფლის მეურნეობაში გაწეულ მუშაობას ვაფასებთ როგორც ადრინდელი უარყოფითი ტენდენციების დაძლევის ეპიზოდსო.

პირველი მდივნისაგან ფაქტების ამგვარი შეფასება ჩვენ იმის იმედს გვაძლევს, რომ მომავალში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ თეთრწყაროელები. ჯერჯერობით კი, მართალია, 1980 წელთან შედარებით ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გაზარდეს კარტოფილის წარმოება, მაგრამ იგი კვლავ ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. ამის მთავარ მიზეზად მიგვაჩნია სუსტი პარტიული კონტროლი. აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს ის, რომ წინწყაროს 'აბჭოთა მეურნეობაში მოწინავე მექანიზატორის, კომუნისტ შ. გაჯიევისათვის განკუთვნილ ნაკვეთში უხვ მოსავალს იღებენ, სხვა ნაკვეთებში კი ძალზე მცირეს.

საყოველთაოდ ცნობილია ის ამბავი, რომ წლევანდელ ზაფხულში რამდენჯერმე მოსულმა სეტყვამ ერთობ დააზარალა თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობები. ამიტომ ჰქონდათ ცუდი მოსავალი ბემინდვრეებს, მევენახეებს და მეხილეებს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ ამ გაჭირვებისას სუსტად იმუშავეს მანგლისის, ალგეთის, კოდის და გარისის საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ფერდება უპერსპექტივო და ხანგასული ბაღების განახლება. ამ საქმეს აგროსამრეწველო გაერთიანება უნდა მოეკიდოს.

როგორც ვთქვით, საანგარიშო პერიოდში ბუნების ჭირვეულობამ ძალზე დააზარალა თეთრი წყაროს მეურნეობა. მარტო წლეულს სეტყვის ბიჯეებმა მიყენებულმა ზარალმა ასიათასობით მანეთს გადაამეტა. ასეთ ვითარებაში პარტიის რაიონულ კომიტეტს სერიოზული პრეტენზიები აქვს სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურისადმი, სადაც მოისსტებს სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

რაიონში ოცდაათი მექანიზატორი აკლიათ. ასეთ ვითარებაში რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოშვებული 102 მექანიზატორიდან ადგილზე მუშაობს მხოლოდ 28. ამიტომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მექანიზატორთა მომზადებას, მათი შრომის ორგანიზაციას.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მრეწველობაში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო ნორმაზე მეტ მუშახელს იყენებენ. ამ მიზეზით ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი აფერხებს ბაზალტისა და ყვითელი ტუფის ნაწარმის გამოშვებას.

გაუმართლებლად ჭიანურდება საიარაღო ქარხნის ნორიოს ფილიალის მშენებლობა.

ამერაკავკასიის რკინიგზის სამართველომ გადაწყვიტა თეთრ წყაროში ააშენოს რკინიგზის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლი. სამწუხაროდ, დანაპირები ჯერჯერობით არ სრულდება.

თეთრწყაროელები მეტ დახმარებას ელოდნენ რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოდან. განა შესაწყნარებელია ის ამბავი, რომ რაიონის დასახლებულ ადგილებს ნამტვრევანსა და ფიცხეთს დღემდე არ უნახავს ელექტროშუქი.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა კავშირგაბმულობის რაიონული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რატომღაც შესამჩნევად გაუარესდა ტექნიკის ექსპლოატაციის ხარისხი, რის გამოც ძალზე ცუდად მუშაობს სატელეფონო კავშირი და ტელეგრაფი.

ჩანართი მეორე: პარტიული კონფერენციის ამგვარ საქმიან და კრიტიკულ მსჯელობაში, როცა მომხსენებელი და გამოსული კომუნისტები კონკრეტულ საკითხებს აყენებდნენ, მსჯელობდნენ მდგომარეობის გამოსწორებაზე, ზოგიერთი ორატორი არწყენინებს პოლიტიკას ადგა. ცოტა არ იყოს, ზერელედ ლაპარაკობდა მთავარზე, ასეთი იყო, მაგალითად, თეთრი წყაროს კავშირგაბმულობის კვანძის უფროსის ი. მარანტიდის გამოსვლა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს იგი მხოლოდ მიზეზებს ეძებდა და პირწმინდად სხვას აბრალებდა თავის და პარტორგანიზაციის მდივნის ა. ტოლმაჩოვის სუსტ მუშაობას. თუ არა მათ, ამა ვის მოეთხოვებოდა პასუხი იმის გამო, რომ კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში ერთობ მოისუსტებს შრომის დისციპლინა.

პარტიის თეთრი წყაროს რაიონულმა კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი გაზეთისა და რადიოგადაცემების მუშაობის ხარისხზე, იმსჯელა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა-აღზრდის სრულყოფაზე. სხვათა შორის, ითქვა, რომ სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, რის გამოც აი უკვე რამდენიმე წელია ვერ ხერხდება თეთრი წყაროს № 128 პროფტექნიკური სასწავლებლის დაკომპლექტება.

კონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ გაუმჯობესდა მშრომელთა კულტურული მომსახურება. თეთრ წყაროში ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი, ხალხურ საკრავთა ორკესტრი. სოფელ ირაგასა და წინწყაროში შექმნილია ბერძნული ეროვნული ანსამბლი.

მაგრამ ერთი უსიამოვნო ფაქტი ფაქტად რჩება. რაიონს კულტურის სახლი არა აქვს...

ჩანართი მესამე: ჭეშმარიტად ინტერნაციონალურია თეთრი წყაროს რაიონი. ქართველებთან ერთად აქ შრომობენ რუსები, ბერძნები, სომხები, ოსები... პარტიის რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანთა ინტერნაციონალურ-პატრიოტულ და ათეისტურ აღზრდას. ერთობ პოპულარული გახდა სახალხო დღესასწაულები „გარისობა“, „წინწყაროობა“, შრომის ზეიმი სოფელ ივანოკაში. წლეულს საფუძველი ჩაეყარა კიდევ ორ სახალხო დღესასწაულს „დიდგორობას“ და „ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავებთან „მოგონების დღეს“.

ისტორიული ძეგლებით მდიდარია თეთრი წყაროს რაიონი. აქაური ახალგაზრდობისათვის ყოველი კუთხე-კუნჭული ძვირფასია. ისინი ელოდებიან ხოლმე თავიანთ ინტერნაციონალურ დღესასწაულებს და აქ „დიდგორობაზე“ თუ „გარისობაზე“ მტკიცდება სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, იგივე ქართველი თუ ბერძენი, რუსი თუ სომეხი ქალიშვილების და ჭაბუკებისა.

სწორედ მათ უნდა განაგრძონ ხვალ კომუნისტთა დღევანდელი თაობის საქმეები.

მშობლიურ რაიონს სწამს თავისი ახალგაზრდების და იმ ფიცისა, რომელიც კონფერენციის მსჯელობის დროს წარმოთქვეს თეთრწყაროელმა მოსწავლეებმა.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ადამიანების ჯანმრთელობა საზოგადოებრივი განძია

(დასასრული)

ობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, აქტივის კრების დიდი მნიშვნელობა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემის ძირეული გარდაქმნისათვის. რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის პრობლემები პირველად განიხილა ესოდენ ფართო და ავტორიტეტულმა აუდიტორიამ საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ხელმძღვანელების, სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების, წარმოების ნოვატორების მონაწილეობით. აქტივის კრებამ შეასრულა დიდი როლი, ხელი შეუწყო მედიცინის მუშაკებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების შესამჩნევ შეცვლას. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრიობას სჯერა მედიკოსებისა, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. აქტივის კრების გადაწყვეტილებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გამოვლინდა როგორც მოღწეულები ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ისე მრავალი გადასაწყვეტი საკითხი, ხარვეზი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაყენების საქმეში, დაისახა მათი ლიკვიდაციის გზები.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი პარტიის ასეთი გადიდებული ყურადღება შემთხვევითი არ არის: საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკის სწორედ ის მიმართულებაა, სადაც მაქსიმალური სიღრმითა და დამაჯერებლობით ვლინდება სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი ჰუმანიზმი, მისი ძირეული ისტორიული უპირატესობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის სოციალურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტ ადგილს დაიკავებს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებისათვის გამიზნული ღონისძიებანი.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ დიდ, მიზანმიმართულ მუშაობაზე, რომელსაც რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის ყველა ორგანო ეწევიან აქტივის კრების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. განსაზღვრულია ამოცანები, შედგენილია პროგრამები და გეგმები, გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მათი განხორციელების გზაზე.

ახლა, როცა ცნობილი გახდა ჯანმრთელობის სამსახურის კონკრეტული პრობლემები, მისი სრულყოფის გზები, დროა უფრო აქტიურად გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე, თქვეს ორატორებმა. საჭიროა სისტემური მიდგომა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტისადმი. თუ მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, მრეწველობის სხვა დარგებში რაღაც შეიძლება გადავდოთ, რაღაც მოგვიანებით გადავწყვეტოთ, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში საჭიროა არა მარტო ტემპი, არამედ დაჩქარებული ტემპი.

ჯანმრთელობის პრობლემები ყოველ ადამიანს აღელვებს. ამიტომ, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, უნდა აწუხებდეს არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, არამედ ყველა სამინისტროს და უწყების, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოების, აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებსაც. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს, რათა საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში ჩაბას ისინი, აღნიშნეს ორატორებმა. ბევრი პოლიკლინიკა მდებარეობს მოუხერხებელ შენობაში, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, რეკონსტრუქციას. ბუნებრივია, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაუჭირდება მარტო ოპერატიულად გადაჭრასეს პრობლემა. ხოლო თუ ვიედეთ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩავაბათ ყველა სამინისტრო, უწყება, სამრეწველო საწარმო, თუ მოვაგვაროთ კონკრეტული პოლიკლინიკისადმი თითოეული მათგანის შეფობა, საკითხი შეიძლება უკვე უახლოეს წლებში გადაწყვეტილთ. ეს რეალურია. ოღონდ საჭიროა წინასწარ დავამუშაოთ ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და დავსახოთ

იდეოლოგიურ მუშაობას — კონკრეტულობა, ქმედითობა

ამთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა საჭიროა მტკიცედ ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომელსაც წყვეტს პარტია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში, — მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა. სწორედ ამ მოთხოვნამ განსაზღვრა იმ საკითხების საქმიანი, პრინციპული განხილვის ტონი, რომლებიც გამოიტანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის კოორდინაციის კომისიის მორიგ სხდომაზე.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს პარტიის სსპინძის რაიკომთან არსებული ანალოგიური კომისიის საქმიანობა იდეურ-აღმზრდელობითსა და პროპაგანდისტულ-საგიტაციო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის და აღნიშნეს, რომ გარკვეულ ძვრებთან ერთად აქ ჯერ კიდევ იგრძნობა ფორმალიზმი, მაბლონი და სხვა ნეგატიური მოვლენები.

განიხილეს აგრეთვე საკითხი, თუ რა კეთდება აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებში იმისათვის, რომ აღკვეთონ ხალხმრავალი, წრეგადასული ქელეხები და ქორწილები. აღინიშნა, რომ ამ მუშაობაში პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხშირად აკლიათ კონკრეტულობა, მიზანდასახულობა, პრინციპულობა. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა არ გამხდარა სისტემატური, თანამიმდევრული, ქმედითი.

კომისიის სხდომაზე შეიმუშავეს პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია პარტიის სსპინძის, აგრეთვე აბაშისა და გეგეჭკორის რაიკომების საქმიანობაში დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა, შრომითის კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას მათი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ა. შ. იოსელიანმა. (საქინფორმი).

● კამპუჩია

მთლიანად უჭერენ მხარს

პნომპენი. კამპუჩიის პარტია, მთავრობა და ხალხი მთლიანად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას და იწონებენ ამ განცხადებაში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფა, განაცხადა კამპუჩიის ხალხთა რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, კამპუჩიის ხალხთა რევოლუციური ახალგაზრდული ფენა სამრანგის თავმჯდომარემ ჰენგ სამრინმა კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაცია, აღნიშნა კამპუჩიის ხელმძღვანელმა, აბორიგენებს აგრესიულ იმპერიალისტურ პოლიტიკას, აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, ბირთვული კატასტროფისაკენ უბიძგებს კაცობრიობას, ი. ვ. ანდროპოვის განცხადება აუცილებელი და დროული პასუხია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და ნატოს სხვა ქვეყნების მტრულ მოქმედებაზე. საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ღონისძიებების მიზანია არ მისცენ ამერიკის შეერთებულ შტატებს არსებული სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დარღვევის ნება, დაიცვან ხალხების მშვიდობა და უშიშროება.

საბჭოთა ხალხთან ერთად კამპუჩიელ ხალხს გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ იბრძოლოს და ჩაფუშოს იმპერიალიზმისა და რაკციის ძალების აგრესიული ხრიკები.

პასუხისმგებლობა ვაშინგტონს ეკისრება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. შეერთებულ შტატებს, როგორც ისრაელის უფროს „სტრატეგიულ მოკავშირეს“, აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთში ვითარების ახალი სიშიშის გამწვავებისთვის. ასეთია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების შესახებ გამართული იმ დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლების ლაიტმოტივი, რომელიც გრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიაზე.

ვაშინგტონმა საბოლოოდ ჩამოიხსნა „ნეიტრალური შუამავლის“ ნიღაბი და აშკარად გადავიდა ისრაელ აგრესორთა მხარეზე, განაცხადა იემენის არაბთა რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მ. ა. სალიიამმა. ვაშინგტონისა და თელ-ავივის შეთქმულების მიზანია, ხაზი გაუსვა მან, გაამარადიოს ისრაელის მიერ მიტაცებული არაბული მიწებისა და ლიბანის ოკუპაცია. იგი ითვალისწინებს რეგიონში მდგომარეობის შემდგომ დეესკალაციას, შეიარაღებული კონფლიქტის გამწვავებას.

იემენის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღშფოთება გამოთქვა ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბული ძალების ადგილის ანსამბლის ტერორისტული ბომბდაგენილ ბომბებზე, „ბრაზილია — სსრ კავშირის“ პირველი კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის შენიშვნა 30 წლისთავი. ბრაზილიის მწერალთა აკადემიაში გამართულ საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაცია.

● დარ-ეს-სალამი. ტანზანიის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრმა დაუდი მვაკავაგომ განაცხადა, თუ რაოდენ საჭიროა ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სისტემაში დასავლეთის საინფორმაციო

● აშშ

წერილი უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა კვლავ მიაპყრო საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება ცენტრალურ ამერიკაში ფრიად სახიფათო ვითარებას, რომელიც შექმნა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული მოქმედების შედეგად. მის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გაგზავნილი წერილი შეიცავს მოწოდებას თავიდან აიცილონ ყველანაირი მოქმედება, რომელიც კიდევ უფრო გამწვავებს დაძაბულობას, ხელს შეუშლის მშვიდობიანი გზით რეგიონის პრობლემების მოწესრიგებისათვის მეცადინეობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მხარი დაუჭირა ნიკარაგუის მთავრობის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ცენტრალურ ამერიკაში, აგრეთვე „კონდრატორული ჯგუფის“ ქვეყნების დიპლომატიურ მეცადინეობას ამ მიმართულებით.

● ჩილე

პროტესტების ტალღა

ჩილეში აზვირთდა პროტესტების ტალღა სისხლიანი ტერორისა და მასობრივი რეპრესიების გამო, რომლებიც ქვეყანას თავს დაატეხა სამხედრო-ფაშისტურმა რეჟიმმა.

დემონსტრანტთა დასარბევად ხელისუფლებამ გამოიყენა კარაბინერები. მასობრივად დაუპატიმრეს დემონსტრაციის მონაწილენი.

სურათზე: სანტიაგოში აპატიმრებენ დემონსტრაციის მონაწილე ქალებს.

აპ-სპაჟლესის ფოტო.

● თურქეთი

ახალი მთავრობა

ანკარა. აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა თურქეთის ახალი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს სამამულო პარტიის გენერალური თავმჯდომარე ტურგუტ ოზალი. მისმა პარტიამ მიიღო ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთის პარლამენტში ნოემბერში გამართული საყოველთაო არჩევნების შედეგად. ოზალის მთავრობაში, რომელიც 21 კაცისაგან შედგება, პრემიერ-მინისტრის მოადგილე გახდა კ. ერდემი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ვ. ჰალეფოღლუ, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — ზ. იავუზთურქი.

● ვენესუელა

გამოაცხადეს პრეზიდენტი

კარაკასი. ვენესუელის უმაღლეს საარჩევნო საბჭომ ხაიმე ლუსინჩი. ოფიციალურად გამოაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტად 1984-1989 წლების პერიოდისათვის. იგი თანამდებობას დაიკავებს გაიხად თებერვალში.

4 დეკემბერს გამართულ მორიგ საყოველთაო არჩევნებში ხ. ლუსინჩის, დემოკრატიული მოქმედების პარტიის კანდიდატს, ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

როგორც სახელმწიფოს მომავლმა მეთაურმა განაცხადა, იგი ამირებს განახორციელოს ღონისძიებანი ვენესუელის მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად, კერძოდ, რეფორმების შედეგად შეიტანოს უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდა, გადაერას ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საცხოვრებელი ბინების ნაკლებობის და სხვა მწვავე პრობლემები.

● მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **რომი.** კუნძულ სარდინიის მოსახლეობამ მოაწყო იტალიის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ ბრძოლის დღე. ათასობით ადამიანი მონაწილეობდა ქალაქ კალიარიში გამართულ მასობრივ ოფის საწინააღმდეგო მანიფესტაციაში.

„არ გვინდა ფრთოსანი რაკეტები!“, „მოგვაშორეთ სიკვდილის ბაზები!“, „ჩვენ გვინდა მშვიდობა!“ — გაიძახოდნენ იტალიის ყველა რაიონიდან სარდინიაში ჩამოსული დემონსტრანტები.

● **დამასკო.** ლიბანის ჯუნიას ნავსადგურის რაიონში მყოფმა ამერიკის სამხედრო ხომალდებმა ცეცხლი დაუშინეს ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბული სახელმწიფოების ძალების სირიის კონტინგენტის პოზიციებს. სირიის არაბთა რესპუბლიკის ოფიციალური სამხედრო წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც სანას სააგენტომ გადმოსცა, ნათქვამია, რომ ამავე დროს ამერიკის „ფ-14“ თვითმფრინავებმა გადაუფრინეს სირიის პოზიციებს მეთსახ რაიონში. სირიის სამაერო თავდაცვის საშუალებებმა თვითმფრინავები აიძულეს უკან გაბრუნებულიყვნენ.

● **ბრაზილია.** ბრაზილიის საზოგადოებრიობამ აღნიშნა ქვეყანაში „ბრაზილია — სსრ კავშირის“ პირველი კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის შექმნის 30 წლისთავი. ბრაზილიის მწერალთა აკადემიაში გამართულ საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაცია.

● **დარ-ეს-სალამი.** ტანზანიის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრმა დაუდი მვაკავაგომ განაცხადა, თუ რაოდენ საჭიროა ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სისტემაში დასავლეთის საინფორმაციო კონცერნების მოძალეობის ლიკვიდაცია. ქვეყნის რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის გამართულ სემინარზე გამოსვლისას მინისტრმა აღნიშნა, რომ დასავლეთის საგენტორების ცნობები ტანზანიის შესახებ მკვეთრად ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, რადგან ამახინჯებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების არსს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ტანზანიელებზე.

● **ნიჟმუსია.** კვიპროსის დედაქალაქში გაიხსნა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის პრეზიდიუმის მორიგი სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ 50-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სესიის დღის წესრიგშია აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის იმ ამოცანათა განხილვა, რომლებიც ეხება დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლას, სამხედრო აგრესიის, პოლიტიკური ზემოქმედებისა და ეკონომიკური ექსპანსიის იმპერიალისტური პოლიტიკის უგუდების გზების ძიებას.

საწარმო — დამხმარე, რეზერვი — უდიდესი



სურათებზე: ზემოთ — ჩობატაურის რაიონის ქვის დასამუშავებელი დამხმარე საწარმოს ოსტატი კ. ჭრელაშვილი, მხერხავი მ. მეფარიშვილი და დირექტორი მ. მარი ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს; ქვემოთ — დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი დამხმარე საწარმოს მუშები ს. ნაფიკოვა და გ. მიქალოვა მუშაობის დროს.

ჯ. ცინცაძის ფოტო.

იზრდება მოგება. შრომითი კმაყოფილება

დმანისი რაიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთობ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. აქაურებს თვითონაც უკვირთ, რანი ვიყავით და რანი გავხდითო.

გავიხსენოთ, რომ ამ რაიონს ჰქონდა მხოლოდ სოფლის მეურნეობა, და ისიც უღიმღამო, მაშინ, როცა აქ იყო ძალიან ბევრი მატერიალური და შრომითი რესურსები. 7-8 ათასი კაცი თითქმის სეზონურად მუშაობდა — მაშინ, როცა იხვნებოდა ან ითესებოდა და მაშინ, როცა მოსავალს იღებდნენ. დანარჩენ დროს უქმად იყვნენ. ოჯახის შემოსავალი მცირე იყო. ამატომაც დმანისელები იძულებულნი იყვნენ სამუშაო სხვა რაიონებში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ეძებათ. ეს უკვე სოციალურად რთულ სიტუაციას ქმნიდა. ოჯახის პატრონები შინ სტუმრებივით მოდიოდნენ, რაიონი თითქოს „საერთო საცხოვრებელს“ ჰგავდა. ბევრისთვის მშობლიური რაიონის ტკივილი თუ სიხარული უკვე უცხო ხდებოდა.

ყოველივე ეს მუშაობაში სერიოზულ სირთულეებს უქმნიდა საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიონულ კომიტეტს, რაისაბჭოს აღმასკომს, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

გამოსავალი უნდა გამოენახათ. ათას ახალ პრობლემასთან შეჭიდებულმა რაიონის თავკაცებმა უმთავრესი დრო და ცდა სწორედ ბუნებრივი სიმდიდრის რეზერვების ამოქმედების და ადამიანთა შრომაში ჩაბმას მოახმარეს. ჰარტიულმა და სამეურნეო თავკაცებმა სწორედ თავიანთი მდგომარეობის რთული პოზიციიდან დაიწყეს აღმასვლა, იქიდან, რომ რაიონი მდიდარი იყო შრომითი რესურსებით.

...სად დმანისის რაიონია და სად ჩაის წარმოებაო. ეს ამბავი მაშინ ბევრს უკვირდა. საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომმა კი ერთი დასანგრევად განწირული შენობა გამოძებნა, შეაკეთებინა და შიგ ჩაის გადამმუშავებელი საწარმო დააბინავა. დღეს ამ საწარმოში 115 კაცი შრომობს. უფრო ბევრი მუშაზეა დასაქმებული ქვის გადამმუშავებელ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში; კიდევ უფრო ბევრი მშრომელი სჭირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ გაერთიანებას. სულ დამხმარე საწარმოებში ათასამდე ადამიანი მუშაობს. აქედან 40 პროცენტზე მეტი ქალები არიან. ყოველივე ამით წლეულს თითქმის ოთხჯერ შემცირდა რაიონის ფარგლებს გარეთ გასულ მშრომელთა რიცხვი.

განვლილი სამი წლის განმავლობაში რაიონში 15 დამხმარე საწარმო შეიქმნა. მაგალ. ექვსი მეურნეობებს ეკუთვნის და, თუ ჩაის ფაბრიკას არ ჩავთვლით, ეს საწარმოები ძირითადად საკუთარ ნედლეულს იყენებენ. დმანისელები დღეს ამზადებენ გრანიტისა და ბაზალტის საშენ მასალათა (ფილებს), ელური ხილის კონსერვებს, მურაბას, ჯემს, მწნილებს. ვითარდება „უნარჩენო წარმოება“, ანუ ფეხს იკიდებს იმგვარი ტექნოლოგია, როცა კვების პროდუქტებიდან არაფერი არ რჩება. გამოუყენებელი. აი, რძის გადასამუშავებელ ქარხანაში შრატისაგან საუკეთესო ხარისხის შაქარს ამზადებენ, ხოლო მოხდილი რძისაგან 30-პროცენტიან ყველს, რომელსაც მშვენიერი ნედლეულს იყენებენ. დმანისელები ძალიან ბევრ ადგილზე ეძებენ ბაზალტის საშენ მასალათა (ფილებს), ელური ხილის კონსერვებს, მურაბას, ჯემს, მწნილებს. ვითარდება „უნარჩენო წარმოება“, ანუ ფეხს იკიდებს იმგვარი ტექნოლოგია, როცა კვების პროდუქტებიდან არაფერი არ რჩება. გამოუყენებელი. აი, რძის გადასამუშავებელ ქარხანაში შრატისაგან საუკეთესო ხარისხის შაქარს ამზადებენ, ხოლო მოხდილი რძისაგან 30-პროცენტიან ყველს, რომელსაც მშვენიერ ნედლეულს იყენებენ. დმანისელები ძალიან ბევრ ადგილზე ეძებენ ბაზალტის საშენ მასალათა (ფილებს), ელური ხილის კონსერვებს, მურაბას, ჯემს, მწნილებს. ვითარდება „უნარჩენო წარმოება“, ანუ ფეხს იკიდებს იმგვარი ტექნოლოგია, როცა კვების პროდუქტებიდან არაფერი არ რჩება. გამოუყენებელი. აი, რძის გადასამუშავებელ ქარხანაში შრატისაგან საუკეთესო ხარისხის შაქარს ამზადებენ, ხოლო მოხდილი რძისაგან 30-პროცენტიან ყველს, რომელსაც მშვენიერ ნედლეულს იყენებენ. დმანისელები ძალიან ბევრ ადგილზე ეძებენ ბაზალტის საშენ მასალათა (ფილებს), ელური ხილის კონსერვებს, მურაბას, ჯემს, მწნილებს. ვითარდება „უნარჩენო წარმოება“, ანუ ფეხს იკიდებს იმგვარი ტექნოლოგია, როცა კვების პროდუქტებიდან არაფერი არ რჩება. გამოუყენებელი. აი, რძის გადასამუშავებელ ქარხანაში შრატისაგან საუკეთესო ხარისხის შაქარს ამზადებენ, ხოლო მოხდილი რძისაგან 30-პროცენტიან ყველს, რომელსაც

● ბოლო სამი წლის მანძილზე დმანისის რაიონში შეიქმნა 15 დამხმარე საწარმო, რომლებიც წლეულს 14 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ.

● ონის რაიონის დამხმარე საწარმოები, რომლებიც ამზადებენ მოჩუქურთმებულ ხის თეფშებს, ბოთლებს, თასებს, ქვის მაგიდებს, ლორს და სხვა პროდუქციას, წლეულს 150 ათასი მანეთის მოგებას მიიღებენ.

● ჩოხატაურის რაიონი 2-3 წლისწადში ქვის ძვირფას ნაკეთობათა ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი იქნება ჩვენს ქვეყანაში.

● მაიაკოვსკის რაიონის ოგჩის კოლმეურნეობა დამხმარე საწარმოდან წლიურად 84,3 ათას მანეთ მოგებას იღებს, თითქმის იმდენს, რაგდენიც კოლმეურნეობის მთლიანი შემოსავალია.

მრეწველობასთან კოოპერირების სიკეთე

ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ დაინერგა მრეწველობასთან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ დამხმარე წარმოებათა კოოპერირება. ორი წამყვანი დარგის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ეფექტიანობა დამაჯერებლად ცხადყო მაიაკოვსკის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებთან არსებულ დამხმარე წარმოებათა კოოპერირებამ სხრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს ლენინგრადის სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „კრასნაია ზარიასთან“. ამის თაობაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტი გ. ნოდია ესაუბრა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივანს ბაიმზ ნოზაძეს. აი, რა თქვა მან:

— 1979 წელს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობების ერთმა ნაწილმა პარტიის რაიკომის ინიციატივით ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კრასნაია ზარიასთან“ დადო ხელშეკრულება სოფელ ობჩაში ღვინის ქარხნის ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობაში დამხმარე საწარმოს შექმნის შესახებ.

თავდაპირველად საწარმო მხოლოდ ობჩის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. ამ ჩამორჩენილმა და ზარალიანმა კოლმეურნეობამ პირველსავე წელს საწარმოსაგან მიიღო მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გარეშე და საგრძნობლად გაიუმჯობესა ფინანსური მდგომარეობა. შემდგომში დამხმარე საწარმოს პატრონნი გახდა 7 კოლმეურნეობა და 1 საბჭოთა მეურნეობა. გაერთიანების ფილიალები შეიქმნა დიმში, მაღალმთიან სოფლებში — ხანსა და ზეგანში.

ხელშეკრულებისა და დამტკიცებული ნორმატივების თანახმად, გაერთიანება უზრუნველყოფილია ტექნიკური დოკუმენტაციით, ნედლეულითა და სხვა საჭირო მასალებით, თავის მხრივ კი იგი ვალდებულია საკუთარი ძალებითა და სახსრებით დაამზადოს და შემკვეთს მიაწოდოს პროდუქცია გრაფიკის მიხედვით.

დმანისელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უნარჩენო წარმოების განვითარებას. უსტანდარტო კარტოფილს, რომელიც სარეალიზაციოდ არ ვარგა, სახამებლის დასამზადებლად იყენებენ. სახამებელი კი, მოგებსენებათ, დღესაც დეფიციტურია რესპუბლიკისათვის.

შარშან რაღაც ერთი წლის საწარმოს 120 ათასი მანეთი მოგება დარჩა. ამაში მეურნეობებსაც აქვთ თავ-თავისი წილი, ოღონდ საერთო გადაწყვეტილებით მოგების თანხებს ახლა გამოიყენებენ საწარმოს შემდგომი სრულყოფისა და გაფართოებისათვის.

დმანისელები ძალზე მოწადინებულნი არიან გააფართოონ მომგებიანი დამხმარე წარმოებანი. აქ ხუმრობენ — უწინ ცალი ხელით ვმრომობდითო (მარტო სოფლის მეურნეობაში მუშაობას გულისხმობენ), ახლა ორივე ხელი უნდა დავიკაპიწოთ, იმდენი საქმე გვაქვსებაო. აქაურებს, დიახაც, რომ, სჭირდებათ დამხმარე საწარმოების კიდევ უფრო განვითარება.

ახლა მინის ტარის დამზადებაზეც ფიქრობენ. ჭურჭელი ხომ მათ გარედან შემოაქვთ, მაშინ, როცა სოფელ ახასთან მინის დასამზადებელი ნედლეულის მშვენიერი მარაგია.

ერთი სიტყვით, იმგვარი შთაბეჭდილება რჩება, რომ დმანისელებისაგან ყოველთვის ახალ სასიამოვნო და სასარგებლო ამბებს უნდა ველოდოთ.

ჯ. გარეჯელი.

ონის რაიონში დამხმარე საწარმოებს სამი წლის ისტორია აქვთ.

— სულ პირველად, — გვეუბნება დამხმარე საწარმოებისა და სარეწველის სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის უფროსი გ. გობეჯიშვილი,—ჩვენი ყურადღება მიიპყრო უწერის წყალმა, რომელიც უქმად იღვრებოდა. ეს მაშინ, როცა მასზე დიდი მოთხოვნილება იყო მოსახლეობაში, განსაკუთრებით — დიდ ქალაქებში. გამოვძებნეთ ავტომანქანა, დავდგით მასზე ცისტერნა და დავიწყეთ წყლის რეალიზაცია ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი და ქუთაისი. ორი წლის მანძილზე „უწერის“, რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა საკმაოდ სოლიდური თანხა — 85 ათასი მანეთი შეადგინა. უკვე გაგვიჩნდა სახსრები საწარმოს გასაფართოებლად, ახალი ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად. შარშან გაერთიანების შემოსავალი იყო 450 ათასი მანეთი, სუფთა მოგება — 114 ათასი მანეთი, წლეულს კი მოგება 150 ათასს მიაღწევს.

რაჭაში ოდითგანვე ამზადებენ ყავარს, რომელსაც საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა სახურავად იყენებდნენ. ბოლო წლებში ეს ტრადიცია დაივიწყეს. საბჭოთა მეურნეობები კი სახურავი მასალის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ. „უწერის“ შემდეგ სწორედ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი ახალშექმნილი ორგანიზაციის კოლექტივმა. მოიძებნა მოსახლეობაში ხელოსნები, აიგო მარტივი საამქრო და დაიწყეს ყავრის დამზადება. სულ ცოტა ხანში დამზადდა დიდძალი ყავარი, რომლითაც საიალაღო საძოვრებზე დაიხურა საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ათამდე ფერმა, თვის შესანახი ფარდულები და სოფელ ღების საბავშვო ბაღის შენობა. ერთი შეხედვით პატარა ამ საწარმომ მუშახელიც დაასაქმა და სალაროსაც 12 ათასი მანეთი შემატა.

შემდგომ კი წამოიჭრა ასეთი საკითხი: ხომ შეიძლება ქვედრუღას კირქვების ბაზაზე დამზადებულიყო კირი, რომელიც აქაურ მოსახლეობას რაიონის გარედან შემოჰქონდა. გარდა ამისა, კირი საჭირო იყო ვენახისა და ხეხილის შესაწამლადაც. საბჭოთა მეურნეობები მის შესაძენად საკმაოდ სოლიდურ თანხას ხარჯავენ. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა სთხოვეს დამხმარე საწარმოების სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის კოლექტივს ეთვისებინათ კირის მოპოვების და დამუშავების ტექნოლოგია. ამ წინადადებას ხალისით შეხვდნენ. მალე ახალმა საკირემ რაიონის ოთხივე საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნილება მაქსიმალურად დააკმაყოფილა. ამ მასალით რეგულარულად მარაგდებიან რაიონის სამშენებლო ორგანიზაციები და მოსახლეობა.

რაიონში ღღითი ღღე მეტი აუცრადღება ეთმობა სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ერთი წელია საფუძველი ჩაეყარა სუვენირებისა და საოჯახო ნივთების დამზადებას. რაკვალი ხელმარჯვე ოსტატების მიერ, დამზადებულ ხის მოჩუქურთმებულ თეფშებს, გობებს, შანდლებს, თასებს, ქვის მაგიდებსა და სხვა საოჯახო ნაკეთობებს დიდი გასავალი აქვს ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს მზადდება ოჯახებში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს.

ახლაა სოფელ ნაკეთში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე აგებული გრანიტის ქვის ნაკეთობათა საამქრო. იგი აღჭურვილია თანამედროვე, დიდმწარმოებლური დანადგარებით. აქ მეორე წელია მთის სოფლებიდან მოსული მუშახელი ადგილობრივი გრანიტისაგან სამშენებლო ფილებს ამზადებს. თითოეული მათგანის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ 260 მანეთს გადააჭარბა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებშიც. შარშან გრანიტის საამქრომ 25 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, წელს კი დამზადებული ფილების ღირებულებამ თითქმის ხუთჯერ მეტი — 120 ათასი მანეთი შეადგინა.

ცნობილია, რომ ამბროლაურის რაიონში გემრიელი ღორი მზადდება. ეს განპირობებულია აქაური ბუნებრივი პირობებითა და ნედლეულის ხარისხით. ამბროლაურის ლორის საამქრომ შარშან 390 ცენტნერი ლორი გამოუშვა, ამ დღეებში კი თბილისელები საახალწლოდ 200 ცენტნერ რაჭულ ლორს მიიღებენ.

რა სიკეთე მოუტანა დამხმარე საწარმოებმა რაიონის მოსახლეობას, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას?

მთავარი სიკეთე ის არის, რომ ამ საწარმოებში დასაქმდა დიდძალი მუშახელი. მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურში ჩადგა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები, თანდათან ძლიერდება საბჭოთა მეურნეობები, დაისახა მიგრაციის შეწყვეტის ეფექტიანი გზები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ძვირფასი ქვები ადამიანის სამსახურში

ჩოხატაური ერთ-ერთი ულამაზესი მაღალმთიანი რაიონია რესპუბლიკაში. მთის ქალთებზე შეფენილი მისი თვალწარმტაცი სოფლები წელიწადის ყველა დროს დიდებული სანახავია. შრომისმოყვარე ხალხია ჩოხატაურელები. როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამენ მეურნეობის წინსვლისათვის, მაგრამ მაღალმთიან სოფლებში მაინც იგრძნობა ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე. ასე თუ ისე, ამანაც განაპირობა და დაჩქარა მოსახლეობის მიგრაცია.

ათვალიერებ მდინარე სუფსის ხეობაში გაშენებული სოფლების დიდი ვანის, შუა სურების, ზემო სურების დასახლებას და გული გეთანაღრება, როცა ხედავ, რომ მრავალ სახლ-კარს ადამიანის ხელი არ ეტყვია. ბუხრებიდან ბოლი აღარ ამოდის, ნასახლარები უამრავია. სწორედ ამან და კიდევ სხვა საყურადღებო პრობლემებმა საგონებელში ჩააგდო რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოთმოქმედო ორგანოები.

კარგა ხანია ლაპარაკობდნენ რაიონში წარაღისეული სიმდიდრე არსებობსო, — გვეუბნება პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ზურაბ ერქომაიშვილი, — და აი, ახლა უკვე ამ ლაპარაკს საქმე მოჰყვა. სოფელ განახლებაში მუშაობს საშენ მასალად გამოსაყენებელი ქვის ღია კარიერები. სპეციალისტებთან ერთად შევადგინეთ აგრეთვე დიდი ვანისა და სხვა სოფლების ტერიტორიაზე არსებული მოსაპირკეთებელი ძვირფასი ქვების საბადოები, სადაც, წინასწარი გარაუდით, გრანიტის დიდი მარაგი აღმოჩნდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი დახმარებითა და მხარდაჭერით ეს-ეს არის შევუდექით ძვირფასი წარაღისეული განძის მოპოვება-დამუშავებას.

რაკი სოფლების ბუკისციხისა და დიდი ვანის საზღვარზე არსებულ ვეებერთელა „ბოლო“ ქვებზე ჩამოვარდა საუბარი, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაღნის მოპოვებაც სწორედ ამ კარიერიდან დაიწყეს. ახლა აქ მდინარე სუფსის შუა ნაწილის მთელ ხეობაში ისმის ბულდოზერებისა და ვეებერთელა კომბესორების, მექანიზმების გრუხუნი. მებულდოზერეები მამა-შვილი არსენ და არჩილ გაგუები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძვირფასი ქვების მოპოვებაში. ბრიგადირი გიორგი სიმონია უნარიანად ხელმძღვანელობს ქვის მომპოვებელთა ვაჟკაცურ შრომას. მოწონებითა ვახტანგ დგანან მუშები მურმან ეზაშვილი, მამული გუბელიძე, ჯანიკო სიხარულიძე, ოსტატი თემურ ვანიშვილი.

საყურადღებოა, რომ სპეციალისტებმა და გეოლოგიურმა სამსახურმა სოფელ დიდი ვანის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მოხაპირკეთებელი ქვების დიდი მარაგი, საიდანაც დამზადდება ეგრეთ წოდებული „სენიტებრის“ სახელწოდების მოსაპირკეთებელი ქვები. სოფელ ზოტის ცენტრიდან 2 კილომეტრზე მდინარე გუბაზოულის წყლის ორთავე სანაპიროზე „საკალმახიას“ ტერიტორიაზე ფერადი (ზებრისებრი), წმინდა გრანიტის საუკუნოვანი მარაგი აღმოჩნდა; სოფელ ერკეთში საკირიის ღელის მიდამოებში უამრავი მარაგია ძვირად ღირებული მოსაპირკეთებელი და ძვირფასი სამკაულების ნაკეთობისთვის საჭირო შავი, ასე ვთქვათ, ყორნისფერი „ანდეზიტისა“; სოფელ ზემო სურებში „ორწყალას“ ხეობაში კი დიდძალი მარაგია ისეთი ქვებისა, რომელთა დამუშავების შედეგად თვალწარმტაც „გაბრო-დიაბაზს“ მივიღებთ.

მოსაპირკეთებელი ქვების დიდი საბადოები აღმოჩნდა ქვაბლაში, იანეულში, შუა სურებში, ბახმაროში. მათი გამოყენება კი დიდ სიკეთეს მოუტანს ამ რაიონს.

აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის დამხმარე საწარმოებსა და სარეწველის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სახელმწიფო კომიტეტი და მისი თავმჯდომარე გ. მგელაძე. ახლა-ბედა საწარმოს დროზე გამოუყვეს საჭირო სხვადასხვა ტექნიკა, ავტომანქანები და კიდევ სხვა პირველი რიგის სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებანი.

ახლაბედა საწარმოო გაერთიანებას უნარიანად ხელმძღვანელობს რაიონის მკვიდრი, საქმის მცოდნე სპეციალისტი ინჟინერი მიხეილ მარი.

ბუნებრივია, ქვის მომპოვებელ ყველა კარიერთან ჯერჯერობით შეუძლებელი იყო დამმუშავებელი საწარმოს გამართვა, ამიტომ პირველი ასეთი საწარმო ორიოდე წლის წინათ ჩაისუბნის ტერიტორიაზე აშენდა. ამ ნაგებობას დათმობილი აქვს 3 ჰექტარამდე ფართობი.

ვეებერთელა ნაგებობის ყველა კუთხე-კუნჭულში საგულდაგულოდ მუშაობენ. ფრთებს შლის ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ მომბალში გიგანტური საწარმო. ახლა კი მთავარი კორპუსის აქა-იქ, კუთხეებში დგას ქვის სახერხი რამდენიმე დაზგა-დანადგარი და დახერხილი გრანიტის საპრიალებლები, რომლებსაც ემსახურებიან ოსტატი კახგური მარელაშვილი, მუშები შოთა სიხარულიძე, ნოდარ გოგოლაძე, მიხეილ მეფარიშვილი და სხვები. ისინი დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ჯერჯერობით მაინც შინამრეწველურ პირობებში უხდებათ ქვის მოპოვება და მისი დამუშავება, წლეულს მაინც თითქმის 100 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოვეს. როგორც საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ოლეგერ კუტუბიძემ და ბუღალტერმა სოსო ხუნდაძემ გვითხრეს, როცა საწარმო გამართულად იმუშაებს, იგი ყოველწლიურად სულ ცოტა 10 მილიონ მანეთ შემოსავალს მისცემს რაიონს, ცოტათი იმაზე ნაკლებს, რასაც რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ერთად იძლევა. ასე რომ, ჩოხატაურის რაიონი 2-3 წელიწადში ქვის ძვირფას ნაკეთობათა ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი იქნება ჩვენს ქვეყანაში.

ამ დღეებში საქქსპორტაციოდ გადაეცემა მდინარე გუბაზოულისა და მდინარე სუფსის შესართავთან აგებული ქვის სამსხვრევი საამქრო, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებს, მოსახლეობას.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

წარდგენილია პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

1. მეცნიერების დარგში

1. ბანძელაძე გ. დ. — „ზნეობრივი პროცესის თეორია და პრაქტიკა“ (3 ფიგნად), გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979-1982 წლები.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

2. გაბაიანი ა. ა., ზურაბაშვილი ა. დ., ლეჟავა გ. გ., ნანეიშვილი ბ. რ. — შრომათა ციკლი: **ტოქსიკომანიებთან ბრძოლის მეთოდების დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა მათი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის და ეპიდემიოლოგიის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკაში“, 1970-1982 წლები.**

წარმოადგინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

3. გიგაური გ. ნ. — **„საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები“,** მონოგრაფია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980 წელი.

წარმოადგინა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ.

4. გოროზიანი ჯ. ვ., ლომთათიძე ნ. ფ., მამამთავრიშვილი ო. გ., ბუნდაძე გ. რ., ცანავა გ. მ., ჩაბუნაშვილი ო. ს. — ნაშრომთა ციკლი: **„ანეთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია და გადაუდებელი მდგომარეობა“,**

წარმოადგინა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტმა.

5. გურგენიძე რ. ვ. (ხელმძღვანელი), ალექსიძე თ. ა., ბერაძე ი. ნ., თოფურია გ. რ., შარაშენიძე შ. ვ., შაგილოვა ტ. ა. — **შრომათა ციკლი: „მხედველობის ორგანოს ნეიროხისხლძარღვოვანი პათოლოგია“, 1960-1982 წლები.**

წარმოადგინა ქ. თბილისის ოფთალმოლოგია სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებამ.

6. დალაქიშვილი ხ. მ. (ხელმძღვანელი), გერზმავა ო. ხ., გოგოხია შ. დ., კოკილაშვილი ე. რ. — **შრომათა ციკლი: „არამომუშავე ახალგაზრდა პენსიონერთა შრომითი შესაძლებლობები და შრომითს საქმიანობაში მათი ჩაბმის გზები საქართველოს სს რესპუბლიკაში“, 1974-1982 წლები.**

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტმა.

7. მამფორია ფ. დ. (ხელმძღვანელი), ჭარაბაძე ნ. ი., სურგულაძე შ. მ. — **„ლიმონის ახალი ჯიშის „დოხაურიის“ გამოყვანა და დანერგვა საქართველოს სსრ წარმოებაში“, 1962-1982 წლები.**

წარმოადგინა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა.

8. მახარაძე შ. კ. (ხელმძღვანელი), გოდერძიშვილი თ. მ., კარხანაძე ა. ი., ტყვლდიანი ნ. დ., ბუცაშვილი ტ. ხ., ჭუმბურიძე ი. თ. — **შრომათა ციკლი: „ბულის ინშემიური დაავადების სპეციალური დიაგნოსტიკისა და ქირურგიული მკურნალობის ზოგიერთი მეთოდის ექსპერიმენტული დამუშავება“, 1955-1982 წლები.**

წარმოადგინა ყარდიოლოგთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ.

9. პაიჭაძე გ. გ. — **შრომათა ციკლი: „XVII-XVIII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე“** (2 მონოგრაფია და საარქივო მასალების პუბლიკაცია 4 წიგნად). გამომცემლობები „მეცნიერება“ და „საბჭოთა საქართველო“, 1970-1983 წლები.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

2. ტექნიკის დარგში

1. ალექსი-მესხიშვილი ვ. შ., მიქაშავიძე თ. ა., მეძმარიაშვილი ნ. ა., კურცხალია ა. გ., მებუკე გ. ვ., შათირიშვილი ფ. მ. — **„თბილისის ტელეგრაფის შენობის დაპროექტება და მშენებლობა“, 1971-1980 წლები.**

წარმოადგინა საქართველოს სსრ სახმეწმი.

2. თავაძე ფ. ნ. (ხელმძღვანელი), ახვლედიანი ლ. ა., გოგოლაძე გ. ტ., კერვალიშვილი ზ. ი., მანჯგალაძე ს. ნ., ფალავა გ. ა., თავაძე ლ. ფ. — **„რუსთავის ქიმიური ქარხნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ახალი მეავავამძლე ეკონომიურად ლეგირებული ფოლად ეკ 667-ის და მისგან დამზადებული ორგანული მოწყობილობის შემუშავებით, რითაც გამარტივდა ჰიდროკუსლამინსულფატის მიღების ტექნოლოგიური სქემა და გაუმჯობესდა ხარისხი“, 1971-1981 წლები.**

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტმა.

3. პეტრიაშვილი კ. თ., (ხელმძღვანელი), ბურჯანაძე, ჯ. ა., კაკაბაძე კ. ნ., კარხარაძე გ. გ., ტურსკი ე. ვ., ჩადუნელი თ. ა., ჩხენკელი ნ. დ., — **„ამონიკოვკასის ენერგოზონის ოპერატიული მარაგის გაუმჯობესებული ავტომატიზებული სისტემა (მეორე რიგი)“, 1975-1982 წლები.**

წარმოადგინა საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ.

4. ხარალიძე ბ. გ., ხარალიძე ბ. გ. — **„ტყის სათესლე მასალიდან თესლის მექანიკური წესით გამორჩევა“, 1972-1981 წლები.**

წარმოადგინა ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტმა.

5. ჯომარჯიძე გ. ს. (ხელმძღვანელი), დვალი ვ. ს., ივარდავა რ. ა., კილაძე გ. გ., კოშუტი ს. ბ., მგალობლიშვილი ნ. ი., ბარბაკაძე ლ. მ. — **„ჩაის ხაშრობი მანქანებისა და მაერგამაცხელებელი დანადგარების მოდერნიზაციის თბომომარაგების ახალი სქემის დანერგვის და გარემოს დაცვის კომპლექსური სამუშაოები“, 1974-1982 წლები.**

წარმოადგინა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საკვებმრეწველოდ პროდუქტის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „საკვებმრეწველსაპროექტმა“.

3. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმძღვანელოებისათვის

1. ბაბუხადია ვ. დ. — **„უროლოგია“,** გამომცემლობა „განათლება“, 1981 წელი.

წარმოადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ.

აქვეყნებს რა 1984 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულ ნაშრომთა სიას, კომიტეტი მიმართავს საბჭოთა საზოგადოებრიობას და სთხოვს აუწყოს თავისი აზრი. როგორც ამ ნაშრომთა შინაარსის, ისე წარმოდგენილ ავტორთა კოლექტივების შესახებ.

კომიტეტი სთხოვს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, საწარმოთა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს მოაწყონ აღნიშნულ ნაშრომთა და ავტორთა კოლექტივების საზოგადოებრივი განხილვა.

გამოხმაურებები და შენიშვნები, აგრეთვე საზოგადოებრივი განხილვის მასალები უნდა გამოიგზავნოს 1984 წლის 3 თებერვლამდე მისამართით: 380008, ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, ტელეფონები, 99-93-29, 93-88-72.



სად ხარ, თანაპოლკელო!

საბჭოთა ხალხის მეგობრობაზე ბევრი დაიწერა და კვლავაც ბევრი დაიწერება. ამ კეთილშობილურმა ურთიერთობამ, ძმობამ, ერთმანეთისთვის თავგანწირვამ და დახმარებამ განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში იჩინა თავი.

რამდენი წერილი მოდის რედაქციაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, რომლებშიც სამამულო ომის ვეტერანები გვთხოვენ მოვაძებნინოთ იმ ქარცეცხლიან დღეებში დაძმობილებული მეგობრები.

„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად სასიხარულოა, თანამებრძოლისაგან წერილს რომ მიიღებ, — გვწერს **სვერდლოვსკელი ხერგი სობოლევი**, — მაშ, ოცდაათი-ოცდათვრამეტი წელი არაფერი ყოფილა, თუკი მეგობარს კვლავ ახსოვხარ, შენთან შეხვედრა სურს. მე არაერთმა თანაპოლკელმა მომძებნა, გადავწყვიტე მეც მომენახა ჩემი ქართველი მეგობარი ალექსანდრე იარალაშვილი, მასთან ერთად ვიბრძოდით ერთ ჯარისკაცული ჯამიდან ვჭამდით და პურის ნატეხსაც თანაბრად ვიყოფდით. მასთან ერთად ვიბრძოდი უკრაინის, მოლდავეთის, რუმინეთის, ბულგარეთის განთავისუფლებისათვის. 1945 წელს ერთმანეთს დავშორდით. იგი სხვა ნაწილში გადაიყვანეს, მე სხვა მიმართულებით გამამწესეს. მაინტერესებს, როგორ წარმართა მისი შემდგომი ბედი“.

„ძალიან გთხოვთ მომაძებნინოთ ჩემი თანაპოლკელი თამარ ბლუაშვილი, — იწერება რედაქციაში გამოგზავნილ ბარათში **უფალი ზოია ხავჩენკო** (ქალიშვილობის გვარი პეროვა), — ჩვენ 1563-ე საზენიტო პოლკში ვირიცხებოდით. ჩემთან ერთად იყვნენ თამარ ტალახაძე, თამარ ბაკრაშვილი, ოლია მოწონელიძე, ნატო დონაძე, თინა ცუცქირიძე და რადისტი ივანიშვილი“.

ვორონეჟიდან მიღებულ წერილში სამამულო ომის ვეტერანს **ვალენტინ დრობიშევს** სურს თავის ფრონტელ მეგობარ გრიგოლ ვლადიმერის ძე ბარათაშვილთან შეხვედრა. იგი 1916 თუ 1920 წელს ყოფილა დაბადებული, 1942 წლის სექტემბრიდან კომუნისტური პარტიის წევრია. გ. ბარათაშვილს მისთვის ფრონტზე მიუცია რეკომენდაცია, გამხდარიყო კომუნისტური პარტიის წევრი.

„სად ხარ, ჩემო ფრონტელო მეგობარო, გამომეხმაურე, ამ სათაურით გვიგზავნეს წერილს **ხმელნიცკიდან ვლადიმერ პასატსოკი**, — ვეძებ ჩემს მებრძოლ ამხანაგს გიორგი (ჟორა) კალანდიას, რომელთანაც ერთად რამდენიმე წელს ვიბრძოდი, ომის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით და მერე მისი არაფერი ვიცი. მე მოვაძებე ჩემი ერთი თანამებრძოლი, რომელმაც გამომგზავნა ჟორასთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი, გთხოვთ გამოაქვეყნოთ იგი. იქნებ ამ ფოტომ მომანახვინოს ჩემი მეგობარი“.

ხერსონიდან, ნოვოვორონცოვსკის რაიონიდან მიღებულ წერილში **ალექსი სპივაკი** გვთხოვს დავეხმაროთ თავისი თანაპოლკელების სერგი გოქსაძისა და აზახაშვილის მოძებნაში. **ჯამბულელ კონსტანტინე ბაბენკოს** სურს შეხვედრა მის თანამებრძოლებთან თოდრიასთან და დარსაველიძესთან, რომლებთანაც ერთად იბრძოდა 48-ე გვარდიულ მზვერავთა ბატალიონში. **სარატოვის ოლქიდან ალექსანდრე გორინი** გვთხოვს მოვაძებნინოთ თანაპოლკელი, სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე მაიორი გარსევანიძე.

თბილისელი ვალიკო სტეფანეს ძე ბერძენიშვილი 40 წლის წინათ იბრძოდა **ყუბანის** განთავისუფლებისათვის. დასახლება ილსკის მახლობლად ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მას ფეხი მოჰკვეთეს. მაშინ იგი ცხრამეტი წლისაც არ იყო. „ჩვენი დასახლება აღნიშნავს ფაშიზმისაგან განთავისუფლების 40 წლისთავს და გთხოვთ მოგვაძებნინოთ ამ ბრძოლების აქტიური მონაწილე ვ. ბერძენიშვილი, — იწერება **ილსკის** დასახლების კოლმეურნეობის თავჯდომარე, სამამულო ომის ვეტერანი **გ. პეტროვი**.

სარედაქციო ფოსტაში ისეთ წერილებსაც შეხვდებით, რომლებიც ომის ქარცეცხლს გადარჩენილი მეომრები გვთხოვენ თავიანთი დაღუპული ამხანაგების, ახლობლების მონახვას, რომ შეატყობინონ მათთვის ძვირფასი ადამიანების დაკარგვის ამბავი, მიაკვლევინონ მათი საფლავები.

საზღვაო ქვეითთა 31-ე ცალკეული **პეტროზავოდსკის** ბატალიონის ყოფილი მეთაური **ივანე მოლჩანოვი** წერილს სწერს თავის ფრონტელ მეგობარს, სამამულო ომის ინვალიდს ნუგზარ ბოჭორიშვილს, რომელიც კარელიის ფრონტზე მურმანსკის მიმართულებით იბრძოდა. „ჩვენს ნაწილში იმყოფებოდა თბილისელი წითელფლოტელი ეპიტაშვილი. მისი სახელი და მამის სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ნაწილში მოსვლამდე იგი დაჭრილი ყოფილა, იბრძოდა ჩრდილოეთით, საბჭოთა იმპერიპოლარეთის განთავისუფლებისათვის. ეპიტაშვილი ხელმეორედ კიდევ დაიჭრა, მაგრამ ჰოსპიტალში წასვლაზე უარი თქვა და იქვე, ჩვენს სამედიცინო პუნქტში მკურნალობდა.

და აი, ერთ დღეს კარვიდან გამოსვლისას, მტრის თვითმფრინავიდან ტყვიამფრქვევით მოკლეს. ეს პირდაპირ ჩემ თვალწინ მოხდა. მაშინ ხომ ფაშისტები თითოეულ ადამიანს თვითმფრინავიდან სათითაოდ ხოცავდნენ. ეპიტაშვილი იყო მამაცი მებრძოლი, კომუნისტი, იგი შვილივით მიყვარდა, მისი ნამბობით ვიცი, რომ დედამისი თბილისში მუსიკის მასწავლებელი თუ მუსიკის დარგში მომუშავე ყოფილა“.

უკრაინიდან, ვოროშილოვგრადის ოლქის **ქ. ხვოიტოვოდან** სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი **ნ. კამენინი** იწერება: „ძალიან გთხოვთ მოვაძებნინოთ ჩემი ფრონტელი მეგობრის საშა ცხოდაძის ახლობლები. იგი დაახლოებით 1923-24 წელს იყო დაბადებული. მასთან ერთად 1942 წლის მაისში ვიბრძოდი ყირიმში, ქერჩში. საშა იყო მამაცი მეომარი და გმირულად დაიღუპა. საშას უკანასკნელი ბრძოლების ამბავი მინდა ვუამბო მის ახლობლებს“.

„ძვირფასო რედაქციავ, თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც მინდა მოვძებნო ჩემი მეგობრის ვანო სიაშვილის ოჯახის წევრები, — გვწერს სამამულო ომის ვეტერანი, **საგარეჯოელი ალექსი ცხვარიაშვილი**, — მახსოვს, შვილებზე საუბარი რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე, ვანო იტყოდა, ფრონტზე რომ წამომიყვანეს, შინ სამი დღის გოგო დავტოვეო. ახლა, ალბათ, ის გოგო დიდი ქალიც არის. იქნებ ქუჩაშიც მხვდება, მაგრამ არ ვიცნობ, არადა, ჩვენ პირობა დავდეთ, ვინც ომის უბედურებას გადაურჩებოდა, დაღუპულის ამბავი მისი ოჯახისათვის უნდა ეცნობებინა. ვანო სიაშვილი უაღრესად პატიოსანი, მამაცი მებრძოლი იყო. იგი ჩემ თვალწინ დაიღუპა. დიდხანს მიეჯრდა მისი ახლობლებისათვის ეს სამწუხარო ამბავი მეთქვა, მაგრამ ახლა დიდი დრო გავიდა და არ შემიძლია, ჩემი მეგობრის თხოვნა არ შევასრულო. როგორც მახსოვს, ვანო თბილისელი იყო და, მგონი, ნაძალადევში ცხოვრობდა“.

მიდის წლები, მაგრამ ადამიანების მეხსიერებიდან . არასოდეს წაიშლება ომის საშინელებით გამოწვეული მწუხარება, არასოდეს წაიშლება შინმოუსვლელთა ნათელი ხსოვნა.

ლ. ხუბულური.

სურათზე: ვ. პასატსოკის მიერ გამოგზავნილი ფოტო, მარჯვნიდან მეორე გ. კალანდიაა.

გაიხსნა საჭადრაკო კლუბი

ნატბრა აუსრულებია თურქოლელ მოსწავლეებს — ... ცენტრში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი და პირველი სასწავლო ჯგუფებიც დაკომპლექტდა 1970-1975 წლებში დაბადებული მოსწავლეებით.

ნორჩები ამ სიკეთეს თბილისის ჭადრაკის სასახლის კოლექტივს უმადლიან, რომელმაც სიჩუქრად გადასცა 2.200 მანეთის ინვენტარი — მაგიდები, საჭადრაკო კომპლექტები, საათები და სხვა.

ნორჩი თერჯოლელი მოჭადრაკეები უკვე მონაწილეობენ რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში „თეთრი ეტლის“ პრიზზე, მოსწავლეთა სპარტაკიადებში, ხოლო საკავშირო ფესტივალ „მეგობრობაში“ მე-3 და მე-4-კლასელებმა მ. სებისკვერაძემ, ზ. ქავთარაძემ, რ. ამბროლაძემ და ზ. ლიკლიკაძემ თანრიგოსნის ნორმატივებიც კი შეასრულეს.

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

თამაშობენ პრეტენდენტები

ლონდონი

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — ვ. სმისლოვისა და ზ. რიბლის ნახევარფინალური მატჩის მეათე პარტია, რომელიც 13 დეკემბერს უნდა გამართულიყო, გათამაშდება დღეს. ტაიმ-აუტი აიღო სმისლოვმა, რომელიც მატჩში ლიდერობს ანგარიშით 5,5:3,5.

დუბნა

გუშინ გაიმართა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების—ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინის მატჩის ბოლო, მეოთხმეტე პარტია (დამატებითი მატჩის უკანასკნელი, მეოთხე პარტია). ეს პარტია მოიგო ლევიტინამ, გაიმარჯვა ანგარიშით 7,5:6,5 და ფინალში შეხვდება ლ. სემიონოვას.

სათასო მატჩების განრიგი

1984 წელს ფეხბურთელთა პირველი ოფიციალური მატჩები ჩვენს ქვეყანაში გაიმართება 18 თებერვალს. ამ დღეს საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტეფინალში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი / ლიგისა და მეორე ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდები. შეჯიბრების მომდევნო ეტაპში (22 თებერვალს) ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის კოლექტივები. მერვეფინალური მატჩები გაიმართება 26 თებერვალს, მეოთხეფინალური — 2 და 3 მარტს, ნახევარფინალური — 6 ივნისს, ფინალური შეხვედრა კი 24 ივნისს მოეწყობა.

სატურნირო ორბიტა

ძალოსნობა. ლენინგრადში დაიწყო საკავშირო თასის გათამაშება. 52 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში პირველობა მოიპოვა 33 წლის მოსკოველმა ვეტერანმა სპორტსმენმა ვ. პოლონსკიმ — 232,5 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა ორსკელი ვ. ანდრახანოვი — 230, მესამეზე — კემეროველი ა. კოლოყოლცევი — 227,5 კგ. თასის გათამაშების პარალელურად შეჯიბრებაზე ცალკეულ ვარჯიშებში სპორტსმენები სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვისაც იბრძვიან. ატაცში ოქრის მედალს დაეუფლა ანდრახანოვი (102,5 კგ), აკვრაში — პოლონსკი (132,5 კგ).

მეორე დღეს იასპარეზეს 56 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძალოსნებმა. ორჭიდში უძლიერესი გახლდათ ევროპის ექსჩემპიონი ო. კარაიანიდი — 252,5 კგ. მეორე ადგილი წილად ხვდა ფერგანელ ვ. ბოგუცკის — 250, მესამე — ვოროშილოვგრადელ ა. სენინს — 247,5. ატაცში ჩემპიონის წოდება მოიპოვა კარაიანიდიმ (115), აკვრაში — სენინმა (140 კგ).

ჭადრაკი. ტალინში გრძელდება ვაჟთა საკავშირო პირველობა (პირველი ლიგა). შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში იყვნენ გულკო — 7 ქულა, დორფმანი, კორბუზოვი — 4,5-4,5 (თითო გადადებული პარტია), მალანიუკი, ჰუსეინოვი, ხარტონოვი — 4,5-4,5, ბალაშოვი, მაკარიჩევი — 4-4 ქულა (თითო გადადებული პარტია).

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—83 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—83

ამერიკა კავკასიის ლანდშაფტური რუკა

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა სამმართველომ გამოსცა შესანიშნავად გაფორმებული ამერიკა-კავკასიის საშუალო მასშტაბიანი (1:600000), ფერადი ლანდშაფტური რუკა. მისი ავტორები არიან ამერიკა-კავკასიაში მომუშავე ცნობილ ლანდშაფტმცოდნეები, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორები დ. უკლება, მ. მუსეიბოვი, ე. სოხაძე, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ბუდაგოვი და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ბაღდასარიანი, ხოლო რედაქტორი — ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ასლანიკაშვილი.

აღნიშნული რუკა ამერიკა-კავკასიის ბუნების — როგორც დარგობრივ-გეოგრაფიული, ისე კომპლექსურ-ლანდშაფტური კვლევის საქმეში მოპოვებულ მიღწევათა, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სინთეზურ-კარტოგრაფიული ნიმუშია. იგი თავისი სიზუსტით, სისრულით (მასშტაბის კვალობაზე) და სიმწყობრით გაცილებით სჯობს დღემდე გამოცემულ ყველა სხვა ანალოგიურ რუკას.

უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესოდენ დიდი და მრავალფეროვანი ბუნების მქონე რეგიონისთვის ამგვარი რუკა ჯერ არ შექმნილა არც ჩვენთან და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში.

რუკის შექმნის ინიციატორი და მისი მეცნიერულ-მეთოდიკური ხელმძღვანელია დ. უკლება, რომელიც მთიანი ქვეყნების კვლევის საქმეში მეთაურ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელობს. ხანგრძლივი და დიდი შრომატევადი დარგების რაციონალურ განლაგებას, ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ეს კი აუცილებელია სასურსათო და ბუნების დაცვის პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის.

რუკას ცალკე, ბროშურის სახით ერთვის ვრცელი ლეგენდა, როგორც ამ „რუკის ენის“ როლს ასრულებს და აადვილებს მის გამოყენებას.

რუკაზე ფიქსირებული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, რომელთა კონტურების საერთო რაოდენობა რამდენიმე ათასს შეადგენს, მათი გენეზისის გათვალისწინებით დაყოფილია კლასებად, ტიპებად, ქვეტიპებად და სახეობებად (სულ 223 ერთეული), რაც საშუალომასშტაბიანი კარტირებისათვის საესებით შეესატყვისება მეცნიერების თანამედროვე დონეს.

ამერიკა-კავკასიის ბუნების კვლევის ამ განმაზოგადებელ კარტოგრაფიულ რუკას დიდი მეთოდიკური მნიშვნელობაც აქვს: მისი წარმატებით გამოყენება შეიძლება ანალოგიური ბუნების მქონე სხვა მთიანი ქვეყნის ლანდშაფტური კარტირებისთვისაც.

რუკა დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის კარტოგრაფიული შენაძენია. ეჭვი არ არის, მას წარმატებით გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ამერიკა-კავკასიის ბუნებას სწავლობენ. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აგრეთვე ამერიკა-კავკასიის — ამ ერთიანი ეკოსომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სახალხო მეურნეობის მგეგმავ ორგანოებსაც.

დასანანია, რომ რუკა მცირე ტირაჟით გამოვიდა, რაც უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს. ამავე დროს სასურველად მიგვაჩნია მისი არა მარტო რუსულ, არამედ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოცემაც.

ქრ. ჯაჟელი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე;
გ. დევდარიანი,
გ. მარგველანი,
დოცენტები.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲔᲑᲗᲐᲜ

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მერიის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ამ დღეებში შეხვედრა მოუწყვეს მრავალშვილიან დედებს.

დარბაზში მრავლად იყვნენ მრავალშვილიანი დედები, რომელთაც ხუთი-ექვსი და მეტი შვილი აღზარდეს.

შეკრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ალკა მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი გ. ინწკირველი, პარტიის მახარაძის რაიკომის განყოფილების გამგე გ. სიამაშვილი, რაიონის კულტურის სახლის დირექტორი ა. გოგოტიშვილი და სხვები, რის შემდეგაც მერიის კოლმეურნეობის თავჯდომარემ გ. ტაკიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა მრავალშვილიან დედებს.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

საგარეჯო. (საკ. კორ.) კაკალი რომ ქვეყნის სიმდიდრეა როგორც დეკორატიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კარგად იციან საგარეჯოელმა მშრომელებმა, რომლებმაც გზებსა და გზატკეცილებზე, ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში შარშან და წლეულს 3.000-ზე მეტი ნერგი დარგეს.

ერთთვიური, რომელიც კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის ინიციატივით მიმდინარეობს რაიონში, 600 ძირი ნერგის დარგვის ითვალისწინებს. ახალგაზრდებმა უკვე სამასამდე ძირი კაკალი დარგეს.

ᲜᲝᲒᲐᲗᲘ — ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲡ

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთ მშიდროდ დასახლებულ უბანში (ციროვის ქუჩაზე) გიიხსნა ბავშვთა ბაგა-ბაღის ორსართულიანი შენობა, რომელიც განკუთვნილია გვიმბალაურელ, ჯუნეფრელ და ორაგვისღელელ ნორჩთათვის.

ბაგა-ბაღის ეს ახალი შენობა 140 ბავშვისთვის არის გათვალისწინებული.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ — ᲢᲠᲝᲚᲔᲘᲑᲣᲡᲘᲗ

სამტრედია. (საკ. კორ.). შარშან 28 აგვისტოს ქალაქში პირველი ტროლეიბუსი გამოჩნდა. პირველი მარშრუტების შემდეგ წელწადი და სამი თვე გავიდა, და ამ ხნის მანძილზე უკვე მილიონმა კაცმა იმგზავრა ტროლეიბუსით. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ პოპულარული მოსახლეობაში ამ სახეობის ტრანსპორტი.

ტროლეიბუსის საქმმართველოს მუშაკებმა მგზავრთა მომსახურების 11 თვის დავალება ვადაზე 10 დღით ადრე — 20 ნოემბრისათვის შეასრულეს.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—83 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—83

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲔᲯᲘ

საქმეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქავეჯპროექტის“ სპეციალისტები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმას. 1982 წელს ამ საქონლის ხვედრითმა წილმა სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში 44,7 პროცენტი შეადგინა. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭა ავეჯის 14 კომბინატს.

ნაყოფიერად შრომობს № 2 საკონსტრუქტორო განყოფილება, რომელმაც შეიმუშავა ავეჯის 15 კომპლექტი და 36 სხვა სახეობის ნაწარმი. სინატიფითა და კარგი გემოვნებით გამოირჩევა „ს“ ინდექსიანი პროდუქცია.

სურათებზე: სათაყვანო კონსტრუქტორი ნუნუ კენჭაძე (მარჯვნივ) და დიზაინერი ანა ხელიკაბოლა მსჯელობენ ახალ პროექტზე; ახალი ავეჯი მოხერხებული და კომფორტულია.

გ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲔᲑᲗᲐᲜ

ბახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მერიის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ამ დღეებში შეხვედრა მოუწყვეს მრავალშვილიან დედებს.

დარბაზში მრავლად იყვნენ მრავალშვილიანი დედები, რომელთაც ხუთი-ექვსი და მეტი შვილი აღზარდეს.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

საგარეჯო. (საკ. კორ.) კაკალი რომ ქვეყნის სიმდიდრეა როგორც დეკორატიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კარგად იციან საგარეჯოელმა მშრომელებმა, რომლებმაც გზებსა და გზატკეცილებზე, ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში შარშან

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ — ᲢᲠᲝᲚᲔᲘᲑᲣᲡᲘᲗ

ყველებს, თუ რაოდენ პოპულარული მოსახლეობაში ამ სახეობის ტრანსპორტი.

ტროლეიბუსის საქმმართველოს მუშაკებმა მგზავრთა მომსახურების 11 თვის დავალება ვადაზე 10 დღით ადრე — 20 ნოემბრისათვის შეასრულეს.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲥᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფლების ანაგისა და ვაქირის გასაყაზე ყურადღებას იპყრობს ქართული კრამიტით დახურული შენობა გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი, რომელიც ახლახან გაიხსნა. აქ თავმოყრილია ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები როგორც მშობლიური სოფლიდან და რაიონიდან, ისე თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან.

მუზეუმში მოწყობილია საინტერესო ფოტოგამოფენა „სანდრო ახმეტელი — ჩვენი თანამემამულე“.

ᲧᲘᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

13 დეკემბერს დღისით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრა დაიწყო ჰაერის ძლიერ გაციებულმა მასებმა. ამ პროცესმა უკვე 13 დეკემბერს ღამით გამოიწვია სუბტროპიკულ ზონაში ჰაერის ტემპერატურის დაცემა: მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ბევრ დაბლობ რაიონში თერმომეტრის სვეტი პლუს 8-10 გრადუსიდან 0-პლუს 2 გრადუსამდე დაეცა. ზუგდიდში ერთი გრადუსი ყინვაც კი აღინიშნა.

დასავლეთ საქართველოს მთის რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ ზონაში 13 დეკემბრის ღამით მოთოვა. 14 დეკემბრის დილით თოვლის საფარის სისქემ ხულოში 9, ბაკურიანში — 16, ბორჯომში — 8, ტყიბულში — 13, ხაშურში — 4 სანტიმეტრს მიაღწია.

ჰაერის ცივი მასების შემოჭრამ გამოიწვია ქარის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ. მაგალითად, ბორჯომში ქარის სიჩქარემ წაშრა 18 მეტრს, ხოლო თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე — 30 მეტრს მიაღწია. წითელწყაროში ქარი უბერავდა წამში 25, ხოლო წნორსა და ახმეტაში — 15 მეტრი სიჩქარით.

— უახლოეს დღეებში საქართველოს ტერიტორიაზე აცივდება, ხოლო ბევრ რაიონში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი თოვლის სახით, — უთხრა საინფორმაციო კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსის მოადგილემ ჯ. დოლიძემ, —ვარაუდობენ, რომ უკვე 14 დეკემბრის ღამით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონში თერმომეტრი უჩვენებს 0-5 გრადუს ყინვას, ხოლო სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ რაიონებში — მინუს 7 გრადუსსაც. ჰაერის ტემპერატურის შემცირება საშიშია ციტრუსებისათვის, ბევრი სხვა სუბტროპიკული კულტურისათვის.

— სუბტროპიკულ რაიონებში ყინვის შესახებ სინოპტიკოსების პროგნოზები, — ხაზგასმით აღნიშნა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. პაპიაშვილმა, — არ აღელვებს გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. ლიმონის ხეებს უამინდობისაგან სამემედოდ იცავს პლანტაციების გაზით გათბობის სისტემა, რომელიც ქართველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

გათბობის ასეთი სისტემა მიმდინარე სეზონში დაინერგა აგრეთვე ფოთისა და ჯალის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში. რაც შეხება მეურნეობებს, რომლებსაც არა აქვთ ასეთი სისტემა, მთ ამ დღეებში უნდა გამოიჩინონ ოპერატიულობა და დიდი სიფხიზლე, რათა სიცივეებმა მოემზადებებს არ მოუსწროს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა მოამზადონ ამორტიზებული ავტოსაბურავები, კვამლის კოჭები დასაწვავად, განსაკუთრებით ღამით. ხეები უნდა შეფუთონ უქსოვადი მასალა „ციტრუსით“, რომლის 1200 ათასი მეტრი ამ სეზონში გაეგზავნა რესპუბლიკის მეურნეობებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილებზე სადღეღამისო მორიგეობის ორგანიზაციას. იმ მეურნეობებში, სადაც ციტრუსების კოლეფა გრძელდება, უნდა დაჩქარდეს მისი ტემპი.

ყინვისაგან ციტრუსების პლანტაციების დაცვისათვის კარგად ორგანიზებული მუშაობა ხელს შეუწყობს მომავალი მოსავლის შენარჩუნებას, მინიმუმამდე შეამცირებს დანაკარგებს.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲥᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფლების ანაგისა და ვაქირის გასაყაზე ყურადღებას იპყრობს ქართული კრამიტით დახურული შენობა გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი, რომელიც ახლახან გაიხსნა. აქ თავმოყრილია ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები როგორც მშობლიური სოფლიდან და რაიონიდან, ისე თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან.

მუზეუმში მოწყობილია საინტერესო ფოტოგამოფენა „სანდრო ახმეტელი — ჩვენი თანამემამულე“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲡᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲯᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ?

ᲐᲕᲢᲝᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ

ეს ავტოავარია თბილისში დღისით მოხდა. № 56 მარშრუტის ავტობუსი ჯავახეთის ქუჩის დღმართზე ელვის სისწრაფით დაეშვა, გავიდა აეროპორტის საავტომობილო გზის ხიდის ქვეშ და შეავარდა რკინიგზის ხიდის გაუქმებულ გვირაბში. რკინაბეტონის საყრდენ კედელთან შეჯახებისას ავტობუსის ორი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ოთხი დაშავდა.

ავტობუსი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2662 ავტოკოლონას (უფროსი — მ. წერეთელი, მთავარი ინჟინერი — შ. ბექაია, პარტორგანიზაციის მდივანი — რ. თვალაძე, უსაფრთხოების მოძრაობის ინჟინერი — მ. გორგოძე) ეკუთვნის და მას მართავდა ახალგაზრდა მძღოლი ავთანდილ მამულაშვილი.

მძღოლმა დაამთავრა თუ არა თბილისის № 120 პროფტექნიკური სასწავლებელი სამუშაოდ გაგზავნეს ავტოკოლონაში. ა. მამულაშვილს არ ჰქონდა ავტომობილის მართვის სათანადო გამოცდილება, დამოუკიდებლად მეორედ მიუჯდა სამარშრუტო ავტობუსის საჭეს. რა თქმა უნდა, ავტოავარიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ესეც არის. ავტოკოლონაში დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა, საკმარისი ყურადღება არ ექცევა ხაზზე გასვლის წინ ავტობუსების ტექნიკური გამართულობის შემოწმებას.

გ. ლელაძე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

მერანმა გამოსცა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლირიკული რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, როშლის თარგმანი ეკუთვნის ოთარ ხუციშვილს.

წიგნის რედაქტორი ნ. ყაჯაბაძე ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს: „ვერთერის“ ერთ-ერთი ქართული თარგმანი ეკუთვნის ჩვენს ცნობილ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას და თუმცა მასში შენარჩუნებულია ორიგინალის სტილი, კოლორიტი, ენის სურნელი, ემოციურ-ექსპრესიული ინტონაცია, ანუ, რომანის სული, ზოგჯერ დარღვეულია მისი აზრობრ